ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №9

ქ.ვანი, თავისუფლების ქ.N65 12 ივნისი 2019 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე- **ალექსანდრე ლილუაშვილი.**

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ვლადიმერ ჭვალაძე, ბიჭიკო პაიკიძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, გელა ღვიტიძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.

(დანართი №1).

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის უფროსი -**კობა მაღლაკელიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი-**ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში -**ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერი-**ალექსანდრე გოგორიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-**გონერი მეფარიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე -**გოჩა ჭუბაბრია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე -**ნატო დვალიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი-**ივანე მამფორია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი-**მამუკა ნამიჭეიშვილი;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი-**ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო სამსახურის უფროსი - **მამუკა გეგიძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი-**თემურ სოხანეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი -**თამარ ადეიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შეყიდვების სამსახურის უფროსი -**დავით გაბუნია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერის კულტურის განათლების, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსხურის უფროსი-**ირმა ცხვარაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი -**მიხეილ სვანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი-**ნარგიზი ალფაიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელში გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის მოსმენის და შეფასების შესახებ;

მომხს: /ალექსანდრე გოგორიშვილი/

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა) იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს:/ზვიად კაპანაძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს: /მამუკა ნამიჭეიშვილი/

4. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში გმირულად დაღუპული სერჟანტ რეზო ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ;

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

5. სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს: /გელა ჩიკვაიძე/

6. „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი"-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: /ნარგიზი ალფაიძე/

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება"-ში (ს/კ 42651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: /ნარგიზი ალფაიძე/

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილის სახით.

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გოგორიშვილმა ვრცლად ისაუბრა 2018 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ. (მერის ანგარიში თან ერთვის)

დეპუტატებმა დადებითად შეაფასეს მერის მუშაობა. საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა. იყო შეკითხვები, რაზეც მუნიციპალიტეტის მერმა გასცა პასუხები.

ეთერ ჭიჭინაძე: ,,დიდი მადლობა ასეთი ამომწურავი ინფორმაციისათვის, რაც თქვენგან მოვისმინეთ. მაქვს შეკითხვა, როდის გავა ექსპლოატაციაში სასწრაფო დახმარების შენობა და კიდევ მაინტერესებს მოხერხდება თუ არა საზაფხულო საბავშვო ბაღის თუნდაც ერთი ჯგუფის შექმნა, რადგან მსურველი ბევრია და მაწუხებენ ამ საკითხზე?"

ალექსანდრე გოგორიშვილი: ,,სასწრაფო დახმარების შენობაში იყო პრობლემები ფანჯრებთან და ლამინატთან დაკავშირებით, რაც მოგვარდა.ასევე შენობის წინ დაისხა ბეტონის საფარი. დაახლოებით ერთ თვეში შევძლებთ შენობის გახსნას. რაც შეეხება საზაფხულო საბავშვო ბაღის ერთი ჯგუფის გახსნას, ყოველნაირად ვეცდები, თუ შესაძლებლობა იქნა, რომ დავაკმაყოფილო მოთხოვნა."

შალვა ლორთქიფანიძე: მადლობა მოგახსენებთ ბატონო მერო ამ შეხვედრისთვის და ამ ინფორმაციისთვის. გვაქვს რამდენიმე პრობლემა ჩემს საარჩევნო უბანში:

დიხაშხოს მოსახლეობის უმეტეს ნაწილს დაუხვნელი და დაუთესავი აქვს ფართობები. ამის მიზეზად ასახელებენ ვანში სახნავ-სათესი ტრაქტორების არასაკმარის რაოდენობას. იქნებ მოხერხდეს და შევიძინოთ ეს ტექნიკა, რომ მოსახლეობას გაუადვილოდ ეს პრობლემა.

ისრითის მოსახლეობა გვთხოვს საჯარო სკოლაში ცენტრალურ გათბობას. ასევე გასათვალისწინებელია ცენტრალური სასმელი წყლის პრობლემა. გვთხოვენ ისრითში სამედიცინო ამბულატორიის ცალკე შენობაში გადმოტანას.

ალექსენდრე გოგორიშვილმა უპასუხა შალვა ლორთქიფანიძეს, რომ თანდათანობით ყველა საკითხი გადაიჭრება შეძლებისდაგვარად.

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

საკრებულოს წევრმა კობა ძაგნიძემ მერის სიტყვის დამთავრებამდე დატოვა სხდომა.

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2018 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის შეფასების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N 27 22)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიდ კაპანაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა) იპ ,,სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის" უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მერიამ მიიღო გადაწყვეტილება და საკრებულოდან ითხოვენ თანხმობას, გადაეცეს 47,6 კვმ ფართი ა(ა)იპ ,,სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს."

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩა N65-ში მდებარე (ს/კ 31.01.26.068) შენობის მეორე სართულზე, მარჯვენა ფლიგელში 47,6 კვმ ფართის ა(ა) იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

(დანართი: განკარგულება N 27 23)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ შეტანილი იქნას ცვლილება 2019 წლის 13 მარტი N27 6 განკარგულების დანართში, კერძოდ ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ღელეზე გაბიონის მოწყობა 10 000 ლარი შეიცვალოს და მის ნაცვლად განხორციელდეს ტობანიერის ადმინისტრაციულ შენობის რემონტი, კერძოდ შენობის გადახურვა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;“

(დანართი: განკარგულება N 27 24)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ქუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში გმირულად დაღუპული სერჟანტ რეზო ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ;“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გავლილია ყველა პროცედურული საკითხი და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2019 წლის 31 მაისის N16 სხდომის ოქმის შესაბამისად, გადაწყდა ზეინდრის N3და N4 ქუჩებს მიენიჭოს რეზო ბერიძის სახელი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეინდრის N3 და N4 ჭუჩებისათვის 2011 წელს ავღანეთში გმირულად დაღუპული სერჟანტ რეზო ბერიძის სახელის მინიჭების შესახებ;"

(დანართი: განკარგულება N27 25)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წამოადგინა განკარგულების პროექტი „სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე";

მომხსენებელმა განმარტა, რომ „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების მე-4[1] მუხლის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქვს უფლება თანხმობა მისცეს სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლას ეწოდოს გალაკტინ ტაბიძის სახელი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „სსიპ ქალაქ ვანის N2 საჯარო სკოლისათვის გალაკტიონ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე";

(დანართი: განკარგულება N27 26)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი"-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,სარაგბო კლუბ ,,აიეტ"-ში ,,სასპორტო დაწესებულების გაერთიანებიდან" გადადის ბავშვთა სარაგბო კლუბი, რამაც თავისთავად გამოიწვია ცვლილება.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სარაგბო კლუბ „აიეტი"-ში (ს/კ 429651469) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 27)

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ნარგიზი ალფაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება"-ში (ს/კ 42651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე.
ამ საკითხთანაც დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ,,სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებიდან" ბავშვთა სარაგბო კლუბის გადასვლამ ,,სარაგბო კლუბ-,, აიეტში" გამოიწვია ცვლილებები და ამიტომაც ხდება რეორგანიზაცია.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე -24

წინააღმდეგი-არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება"-ში (ს/კ 42651717) რეორგანიზაციის გამოცხადების შესახებ" მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის თაობაზე."

(დანართი: განკარგულება N27 28)

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდგომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე